15/12/2020

ვანდალიზმი ამაღლების სახელობის ტაძარზე

ვრილისიაში ამაღლების სახელობის ტაძარი ვანდალიზმის მსხვერპლი გახდა. ეკლესიის კედლების ფასადზე უცნობმა პირებმა წითელი ფერის საღებავით დაწერეს შეურაცხმყოფელი ლოზუნგები ეკლესიისა და სარწმუნოების წინააღმდეგ.

ხსენებული ტაძრის მღვდლებმა და ირგვლივ მცხოვრებმა მოქალაქეებმა გუშინ დილით დაინახეს ეს ამაზრზენი სანახაობა, რომელიც სავარაუდოდ მოხდა გასულ შაბათ-კვირას ღამით.

აღსანიშნავია, რომ ვრილისიას პოლიციის განყოფილება მდებარეობს აღნიშნული ტაძრიდან ორმოცდაათ მეტრში.

wenews.ge